№ 48 1 მაისი, კვირა 1866—1877 1 მაისი, კვირა № 48

დროება

ГАЗЕТА „ДРОЭБА“

ГАЗЕТА „ДРОЭБА“

РЕДАКЦІЯ

Განოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, Ламбинъ сახლებში. —

ХЕЛИС-ШЕЛЕРА

Редакциაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. Калаქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ Контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова. —

ГАЗЕТИС ФАСИ

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

Цалკე ნომერი — ერთი შაური.

ГАМОЦДИС КВІРАОБІТ, ОТХШАБАТОБІТ ДА ПАРАСКЕОБІТ

ГАНСАХАДЕБА

Მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე. —

ГАНСАХАДЕБІС ФАСИ

Დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულია, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

—

Თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ХЕЛИС-ШЕЛЕРА ГАЗЕТИС

„ДРОЭБАЗЕ“

Მიიღება 1 МАИСИДАМ, რვა თვის ვადით, ფასი — — — 6 მან.
Ექვსის თვით — — — 4 „ 50 კ.
Სამის თვით — — — 2 „ 50 „
Ერთის თვით — — — 1 „ „ „

Მთელი წლის ნომრები მხოლოთ რამდენიმე ეგზემპლიარი დარჩენილა.

Ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

ТЕЛЕГРАММЕБІ

ГРЕЖОЛІС-ВЕЛИДАМ

ОЗУРГЕТИ, 29 АПРІЛС. გუშინ ჩვენი მოწინავე ჯარი, ლენ.-ლეიტენანტის აკლობეიოს წინამძღოლობით, გავიდა მუსა-ესტატეს პოზიციიდამ და აიღო, ფიცხელი ომის შემდეგ, მტრისაგან ძალიან გამაგრებული ადგილი ხუც-უბანის მაღლობზე *).

*) ხუც-Убани ორს ვერსზეა Муса-Эстатедგან.

ІЕРІШის დროს თითოეული ჯარის ნაწილი ხელ-ჩართულის ომით იღებდა გამაგრებულ ალაგებსა. ოსმალებმა მიატოვეს თავის პოზიცია, იმათ დიდი ზარალი მიეცათ.

ჩვენის მხრით დაიხოცა: თორმეტი სალდათი და მილიციონერი, დაჭრილია 107 მილიციონერი და სალდათი და ცხრა აფიცერი (სხვათა შორის გურიის დრუჟინის პრაპორსჩიკი გოგაძე და არაბანიძე).

ფოთი, 29 АПРІЛС. დღეს ფოთის პირ-და-პირ ზღვაში ოსმალოს ექვსმა ცეცხლის-გემმა ჩამოიარა და შემდეგ სოხიმისაკენ გასწია.

ПАРІЖІ, 25 АПРІЛС. ინგლისის პასუხი თ. გარჩაკოვის ცირკულიარის თაობაზედ ძალიან ენერგიულის სიტყვებით არის დაწერილი; გრაფი დერბი ამბობს ამ ნოტაში, რომ რუსეთის მოქმედება სალხთა-შორის უველა ახლანდელ ტრაქტატებსა და ევროპის ინტერესებს ეწინააღმდეგებაო: ამ ომის გამოცხადებით რუსეთი მოშორდა ევროპას, და ახლა არ შეიძლება სთქვას კაცმაო, თუ ამ ომის შედეგი რა იქნებაო.

ბუხარესტი, 28 АПРІЛС. ვიდინიდამ ოსმალოები ზარბაზნებს ესვრიან ქ. კალაფატს.

რუმინიის პარლამენტის უმრავლესობა თხოულობს, რომ ოსმალეთს ომი გამოუცხადოთო.

ОМІС АМБАВІ

ОЗУРГЕТИ, 25 АПРІЛС („ДРОЭБІС“ კორრესპონდენცია). თქვენც მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ჯარები აქითკენ ეს მესამე კვირაა, მუხა-ესტატესთან და იმის მახლობლად ორს სოფელში არიან დაბანაკებულნი. Цихис-ძირიდამ სულ შვიდი ვერსის სიშორეზედ ვიქნებოდით ასე, რომ, დაუარაღებულის, უბრალო თვალით თუ არა, დურბინდით მაინც ჩვენი და ოსმალოს ჯარი კარგათ ხედავენ ერთმანეთს და ი'ე ერთი ვერ გაინძრევა, რომ მეორემ იმ წამსვე არ შეიტყოს.

ბარეშემო ჩვენ ჯარს საშინელი ტყე არტყია და ამ ტყეში თითოოროლა ოსმალოს სალდათი ჩაისაურება ხოლმე და ხშირად გვესვრიან. Ამის გამო დალამდება თუ არა, რადგან სინათლეზე გვესვრიან, ჩვენს ბანაკში ცეცხლს არ ანთებენ.

მე ვერ გეტყვით ვერც იმას, თუ რამდენია ამ ბანაკებში ჩვენი ჯარი და ანუ რა მიზეზით, რა განზრახვით არიან აქ ამდენი ხანი გაჩერებული; თქვენც მიხვდებით, რომ ეს სამხედრო საიდუმლოებას უნდა შეადგენდეს და ამის გამო ამის გამოაშკარავება უადგილო იქნება.

ქობულეთელები, როგორც მოგეხსენება ეშმაკი ხალხი არიან, იმათ ყველაფერი არ დაეჯერება. მაგრამ ერთი ქობულეთელი კაცი ენახე აქ ამ დღეებში, და იმან, სხვათა შორის, მიამბო, რომ Алი-ფაშამ და Ოსმან-ბეგმა Თავდგირიძეებმა დაგვარწმუნესო, რომ რუსები ქობულეთში არ ჩამოვლენო და თოფები და ტყვია-წამალი ხელში მოგვცესო, ვითომ იმ განზრახვით, რომ აქვე ჩვენი ცოლ-შვილი დაგვეცვა. Დღეს, როგორც დავინახეთ მათი

ФЕЛЕТОНІ

КЛЕРЕТ

Ფარნცუზული მოთხრობა

Ეს ამბავი 1872 წელს მოხდა, დეკემბერში. Ფრანცუზები კიდევ არ იყვნენ, როგორც რიგია, გონზე მოსულნი იმ საშინელის ომის შემდეგ, მოხდა იმათა და გერმანიელებ შუა რომელიც „Უკანასკნელ სალდათს“ Პრუსიისას ჯერ კიდევ არ გადაედგა ფეხი Საფრანგეთის ნიადაგიდამ.

Როგორც რკინის გალიაში დამწყვდეული ლომი, ისე ღელავდა ხალხი. Ნაპოლეონს, Ბაზენს, Ჟულ-Ფავრს, Გამბეტას, ზეცასა და განგებას — ყველას აბრალებდა თავის დამარცხებას, თავის ჩინებული ქვეყნის შეურაცხყოფას და საუკეთესო კუთხეების — Ალზასისა და Ლოტრანგიის წართმევას. Ტოკავდა. Პირზე ბრაზის ქაფი მოსდიოდა. Მაგრამ რას გაარიგებდა? Რას გაარიგებდა, რას შეიძლებდა დაუძლურებული, იმედ-წართმეული, სასოწარკვეთილებას მიცემული ხალხი? Ათასიც ხრჭინოს კბილები, ათასიც იძახოს „გადაგიხდით, გადაგიხდითო!“ ოთხივე ფეხებ შეკრულმა ლომმა, ვერას გაარიგებს?...

×

Ქლერეტ ამ დროს თვრამეტის-ოცის წლის ქალი იყო. Არც ლამაზი, არც ძალიან მახინჯი. Შუა ტანისა; წაბლის ფერი თმა და თვალ-წარბი; პატარა, ლამაზი ხელ-ფეხი; კოხტა, შნოიანი მიხვრა-მოხვრა, როგორიც მარტო პარიჟელ ქალსა აქვს; მხიარული ხასიათი, მუდამ ხუმარა, ოხუნჯობა, გადაკრული სიტყვა-პასუხი, როგორც აგრეთვე მარტო პარიჟელ ქალებმა იციან.

ამ სამის წლის წინათ, Ქლერეტ ჩამოვიდა თავის სამშობლო ქალაქიდამ Დიჟონიდამ, სადაც ასე თავისუფლად დასეირნობდნენ ნემეცის ჯარები; ჩამოვიდა თავის ერთს ნათესავთან, რომელსაც რაღაც წვრილმალი ვაჭრობა ჰქონდა Პარიჟში. Ამან ერთ თავის ნაცნობის მაღაზიაში მიიყვანა ის და სთხოვა, რომ შაგირდათ მიეღოთ და Ფლიაპის ყვავილების კეთება ესწავლებინათ.

Თითქმის ერთი წელიწადი დაჰყო Ქლერეტმა ამ მაღაზიაში. Ერთი ვიღაც მოხუცებული კაცი აუჩნდა, რომელიც როგორღაც ძალიან ხშირად დაიარებოდა იმ ფანჯარის წინ, სადაც Ქლერეტ მუშაობდა ხოლმე და როგორღაც ერთობ ეჭვნეულად იცქირებოდა ფანჯარაში. Ამხანაგებმა შეამჩნიეს ეს და Ქლერეტს დაცინება დაუწყეს:

— Აჰ, მოვიდა შენი ახალგაზდა მოხუცებული!

— Ქლერეტ, Ქლერეტ, გაიხედე, თავს გიქნევს შენი მოარშიყე!

— Ქლერეტ, ხელს გიქნევს!

— Ქლერეტ, გეძახის, არ გებრალება? Ერთი მიხედე! Და სხვა ამ გვარ სიტყვებით მიმართავდნენ ხოლმე Ქლერეტს თავის ამხანაგები და თვითონ ესეც სხვებზე ნაკლებ არ იცინოდა ხან თავის თავზე და ხან იმ მოხუცებულზე.

×

Ერთხელ Ქლერეტმა თავის ამხანაგებთან პირობა შეჰკრა, რომ ამაღამ ყველა ერთად „Ქლოზრი-დე-Ლილას ბაღში, ანუ როგორც ეხლა ეძახიან, „Ბუილიეს“ ბაღში წასულიყვნენ და იქ გაეტარებინათ დრო.

Ბაათავეს მუშაობა. მაღაზია დაკეტეს. Ყველა თავ-თავის შინ წავიდნენ, ჩაიცვეს რაც საუკეთესო ტანისამოსი ჰქონდათ და ბაღში გასწიეს.

Ვინც პარიჟში ყოფილა, „Ბუილიეს“, უეჭველია, იცნობს. Ეს ბაღი ესრედ-წოდებულ „Ლატინის Ქვარტალშია, იმ უბანში, საცა იმყოფება Პარიჟის სამი უმაღლესი, მთელს ქვეყანაზე გამოჩენილი, სასწავლებელი: Საფრანგეთის Კოლლეჟი, Სორბონნი და Მედიცინის Შკოლა. Საცა ამისთანა უმაღლესი სასწავლებლებია, იქ მოსწავლეებიც „მაღლები“ არიან, რომელთაც სტუდენტები ჰქვიან სახელად, და საცა სტუდენტებია, იქ ახალგაზდა ქალებიც უნდა იყვნენ.

Და მართლაც, არსად, პარიჟის არც ერთს უბანში არ ცხოვრებს იმდენი ახალგაზდა, მხიარული, ქეიფის მოყვარე, დარდიმანდი ქალი, რამდენიც ამ Ლატინის Ქვარტალში.

Მაშ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ რა მხიარულება, რა გიჟური თამაში, რა ხარხარი და კისკისი, რა კანკანი უნდა იყოს ამ „Ბუილიეს“ ბაღში, საცა ამდენი ახალგაზდა, უდარდელი, მოქეიფე ხალხი შეიკრიბება!

×

Გაცხარებულის კანკანის შემდეგ, Ქლერეტმა მიატოვა თავის კავალერი, მიაგნო კუთხეში ერთს თავისუფალ სკამს და წელ-მოწყვეტილი, დაქანცული დაჯდა ზედ, ამოიღო ცხვირ-სახოცი და ოფლს იწმენდდა.

Ამ დროს, თითქო მიწიდამ ამოძვრაო, საიდამაც იყო გაჩნდა ის ჩვენი Ქლერეტას ფანჯარას წინ მოსეირნე მოხუცებული.

— Გამარჯვება, ქალო!

— Გაგიმარჯოს!

— Მიცანით?

— Ძალიან კარგათ.

— Ხო არ მიწყრებით?

— Სულაც არა.

— Მაშ ერთ ფინჯანს მაროჟნას მიიღებთ ჩემგან.

— Რატომ არა.

— Ემაწვილო, ერთი ფინჯანი მაროჟნა მოართვი ქალბატონს, — მიუბრუნდა მოხუცებული და უთხრა იქ მდგომ მოსამსახურეს.

Ათი მინუტი დაჰყვეს ამათ ქ. მოხუცებული რაღასაც ეჩურჩულებოდა Ქლერეტს ყურში. Ქლერტ ხან იცინოდა

სურვილი ყოფილა, რომ „ნიზამების“ (სალდათების) რიცხვთა შორის ვიყვნეთ Ციხის-ძირის ბანაკიო. ჩვენი ცოლ-შვილი კი თოვლიან მთის გადაღმა გადაგვახიზნინეს და ვინ იცის—ახლა რა მდგომარეობაში არიან ისინი.

„Ახლა ჩვენი ჰაზრი ის არისო, მითხრა ბოლოს ამ ქობლეთელმა, რომ სირცხვილშიდაც და უარეს გაჭირებაშიაც არ ჩავვარდეთ, რაც უნდა ვიყოთ, მაინც ქობულეთლები ვართ, მათი მოცემული ტყვია-წამალი ზოგი ბრალიანათ და ზოგი უბრალოთ უნდა ვისროლოთ, მერმეთ მათი თოფები მივაგდოთ და ჩვენ დავემორჩილოთ იმ მხარეს, რომელიც ჩვენი ცოლ-შვილის და ოჯახებისათვის უფრო გამოსადეგი იქნება შემმდეგში. ჩვენი ოჯახები სად ჰყრია ჩვენი საწყალი ცოლ-შვილი, ზოგი ამბავსაც ვერ ვტყობულობთ.“

Ბურულები ძალიან მხნეობასა და შესამჩნევ სურვილს ბრძოლაში მონაწილეობისას იჩენენ. Ამას წინათ რამდენიმე 12—16 წლის ყმაწვილები მივიდნენ თურმე ჯარის უფროსთან და ითხოვეს, რომ, საცა ჩვენი მამები და ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყვნეთო; თოფი მოგვეცით და ჩაგვაყენეთ ჯარშიო; ხმელი მჭადი თუ გვექნა საჭმელად, მეტი არა გვანდა რაო. Მაგრამ ატრიადის უფროსს არ მიუღია. Დამარწმუნეს, რომ ამ უარის თქმის შემდეგ, ეს ყმაწვილი ბიჭები ტირილით დაბრუნდნენ თავ-თავიანთ შინაო.

Ციხის-ძირს საშინლად გამაგრებულს ამბობენ ჩვენი ბანაკიდამ მოსულები. Მაღლობზე, კლდეზე არის ეს ციხე აშენებული და, ხელოვნებით ციხეს გარდა, თვით ბუნებისაგან ძალიან არის გამაგრებული.

Ავათმყოფები აქ ერთობ ბევრნი არ არიან, და ვინც არიან, ისინიც იმ ცუდის ამინდების გამო, რომელმანც ასე შეგვაწუხა ამ სამის კვირის განმავალობაში. „წითელ ჯვრიანი მომვლელი დები“ ჩინებულად უელიან ავათმყოფებს; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ერთობ ცოტანი არიან ასე, რომ თუ ერთი დიდი შეხეთქება მოხდა და დაჭრილები გამრავლდა, ესენი საკმარისი არ იქნებიან.

Ბ. ნ—ლი

ჩვენი კარგად ნაცნობის შამილის შვილი—მეჰმედ-ბეი, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, ხონთქრის სამსახურში შესულა. ხონთქარს ყველა ფაშებისათვის მიუწერია, რომ თუ ვინმე ამ მეჰმედ-ბეის თანამემამულემ ჩვენს ჯარში შესვლის სურვილი გამოაცხადოს, მიიღეთ და ამის ცალკე ჯარში შესარიცხავად გამოგზავნეთო.

—

Თითქმის ყველა ევროპიულ გაზეთებში დაბეჭდილი იყო ამას წინათ სტამბოლიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომ „პირველს შეტაკებაშივე, ბათუმის მახლობლად, მუხა-ესტატესთან, ოსმალოს ჯარმა განიმარჯვა და 800 კაცი რუსის ჯარიდამ ტყვედ წაიყვანაო. ეს ამბავი, რასაკვირველია, მართალი არ გამოდგა.

—

ჰავასის აგენტობას მოსვლია ტელეგრამმა ქ. Ბაგუზიდამ, რომ სულეიმან-ფაშა 29 აპრილს თავის ჯარით გამოსულა ჩერნოგორიელ იმ ჯარების თავს დასაცემათ, რომელნიც ქერსტაჩში სდგანან. Იმ დღესვე, დილით თავ. Ნიკოლოზი, ჩერნოგორიის მთავარი Ცეტინიდამ ქერსტაჩში მოსულა. Ამბობენ, რომ ოსმალოსა და ჩერნოგორიელებს შუა შეტაკება Ბორანსკოში მოხდებაო. Სულეიმან-ფაშასთან მეჰმეტ-Ალი-ფაშაც წამოსულა თავის ჯარებით ქ. Სენნიციდამ, რომ დაეცეს ჩერნოგორიელებს. Ამავე განზრახვით სუკუარიდამ Ალი-ფაშაც გამოგზავრებულა 20 ბატალიონით.

—

Გაზ. „Ტეიმსი“ ამბობს, რომ რუსეთს თავის ხარჯით უნდაო რუმინიაში, Ტეკუჩასა და Ბუზეოს შუა რკინის გზა გაიყვანოსო, რადგან მაშინ, ამ გზის საშუალობით, Იასსესა და Ბუხარეტს შუა გზა დამოკლდებაო, Ბალაცზე მოვლა აღარ დასჭირდება ჯარებსო, როგორც აქამდისინ იყოო.

—

Ვიშინევიდამ გაზ. „Პოლიტიკურ Კორრესპ.“ იწერებიან: როგორც ნამდვილი ცნობებიდამ სჩანს, Ბრაილოვსა და Ივის ახლო-მახლო ადგილებში დაბანაკებულნი არიან: 4 პოლკი ქვეით ჯარისა, 6 ბატარეია, 5 სოტნა Უუბანის ყაზახებისა და 4 პოლკიც ცხენოსანი ჯარი; სულ 17 ათასი კაცი. Ბალაცსა და იმის ახლო-მახლო 10 ათასი კაცი, Ქილიასთან 12 ათასი, Იზმაილში 18 ათასი და Რენშიაც 10 ათას ხუთასი კაცი“.

—

Ბუხარესტიდამ 18 აპრილს ამავე გაზეთში იწერებიან: „Ამ სამი დღის წინეთ აქ მოვიდა, რუსეთის Იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი თავ. Დოლგორუკოვი, რომელმანც Რუმინიის მთავარს Ქარლს Ალექსანდრე მეორის წიგნი გარდმოსცა. Ამ წიგნში, როგორც ამბობენ, Რუსეთის Იმპერატორი Რუმინიის მთავარს უხსნის იმ მიზეზს, რომლის გამოც ასე აჩქარებულათ მოხდა, რომ Რუსეთის ჯარები Რუმინიის ტერიტორიაში შემოვიდნენ.“—Ესვე გაზეთი, სხვათა შორის, გვაცნობებს, რომ 17 აპრილს Რუსეთის ჯარს Ბარბოტეზი გაუვლია, და 1,500 კაცი ჩერქეზი, რომელნიც Რუსეთის არმიაში მსახურობენ, ქ. Ფულჩაში მოსულა. „Რუსეთის ჯარების უფროსები სჩივიანო, რომ Რუმინიის გზებზე იმათ ძრიელ უჭირსთ ბარგის და ხორაგეულის გადატან-გადმოტანაო“, ამბობს ეს გაზეთი.

—

Შავი ზღვის ნაპირა ქალაქების მცხოვრებლები ძრიელ დაშაბა ამ ომმა. Ყველა იმათგანი ეძებენ სადმე ალაგს, რომ ზღვას მოშორდენ. Მაგალითად Ფოთიდამ და სოხუმიდამ, როგორც ყოველ-გვარი საამართლო ადგილები, ისე მთელი მცხოვრებლებიცზოგი ჩვენს ქალაქში ამოსულან და ზოგი გზაზე, ჭუთაისში დარჩენილან. Ამისთანა შიშში და კრძალვაში არიან ოდესის მცხოვრებლებიცაო, როგორც „მოსკოვის Უწყებების“ უკანასკნელი ნომერი ამბობს.—Დღე-და-ღამ მოსვენება არა აქვს თურმე ოდესის ქალაქის უფროსს გრაფ. �აშოვს, განსაკუთრებით ურიებისაგან, რომელთაც სამზღვარ გარეთის პასპორტები გამოაქვთ. Გრაფი Ლევაშოვი, რომელსაც ჭუთაისის გუბერნია ძრიელ კარგათ იცნობს, ურჩევს თურმე მცხოვრებლებს, — ტყვილ-უბრალო ხარჯს ნუ შვრებით, ნუ სტოვებთ თქვენს ყოფა-ცხოვრებას და ნუ მიდიხართ ქალაქიდამაო, რადგან არაფრის შიში არ არისო; მაგრამ ვინ უჯერის.—სხვათა შორის Ლევაშოვს გამოუცხადებია, რომ ოდესის ნავსადგური ძრიელ გამაგრებულია დიდი ზარბაზნებით და რომ ოდესის მთელი რეიდი კარგა მანძილზე სავსეა ზღვაში გაყვანილი მინებით, ასე რომ მტრის გემებს ახლო მისვლა არ შეუძლიანთ. Ამის გამო მტერმა რომ ყუმბარებიც დაუშინოს ოდესას, ვერაფერს დააკლებსო, რადგან ისინი ძრიელ შორს იქნებიან ზღვაშიო.

საქართველო

დღიური

*** Ბუშინწინ, პარასკევს, ისეთი საშინელი წვიმა მოვიდა ქალაქში, რომ კაცს ეგონებოდა სწორეთ კოკიდამ ასხამენო. Ნახევარი საათის განმავალობაში, ზოგიერთ ქუჩებში ისეთი ნიაღვრები დადგა, რომ კაცს

და ხან ბრძნულის სახით შესჩერებოდა ამის ლაპარაკს.

Ბოლოს ორივენი ერთათ ადგნენ. Მოხუცებულმა მიუშვირა მკლავი Ქლერეტს; ამანაც გაუყარა მკლავი მკლავში; ორჯელ-სამჯერ შემოიარეს ბაღში და როტონდაში, მოისმინეს რამოოენიმე შენიშვნა ნაცნობებისა:

— Ჩაუგდია ხელშიო! დაიყვირა ერთმა.

— Ჩაუთრევია საწყალი მოხუცებულიო! მიაძახა მეორემ.

— Ჰხედავ ამ ცულლუტს, როგორი ლუკმა უშოვნიაო! სთქვა მესამემ.

Ბევრი ამგვარი შენიშვნები გაიგონეს ამათ. Ბოლოს, ასე, როგორც იყვნენ მკავი-მკლავში გაყრილნი, Ქლერეტ და იმის მოხუცებულიერთად გავიდნენ ბაღიდამ; მოხუცებულმა მოიხმო კარებთან გაჩერებული ფიაკრი, ჩასვა შიგ თავის დამა, ჩაჯდა თვითონაც, რაღაც ადრესი უთხრა ფიაკრის პატრონს და გასწიეს.

×

Არც მეორე დღეს, არც იმ კვირაში, არც იმ თვეში Ქლერეტ მაღაზიაში არ გამოჩენილა. Იმის ამხანაგები ერთმანეთს ჰკითხავდენ: ნეტა სად დაიკარგა Ქლერეტიო? Მაგრამ ვერავისგან პასუხი ვერ მიიღეს; მოიგონეს Ბუილიე, მოხუცებული... და მალე გაიგეს—თუ სად უნდა წასულიყო, რა გზას უნდა დასდგომოდა Ქლერეტ.

Ბიძა მისი აქოშინებული მოვარდა მეორე დღეს მაღაზიაში, იკითხა თავის ძმის წული; მაგრამ კაცმა ვერა უთხრა-რა გადაწყვეტილი და ნამდვილი. Მესამე დღესაც მოვიდა, მეოთხე დღესაც; ისევ ისე ხელ-ცარიელი მიდიოდა.

Დიჟონში მიიწერა; დედ-მამას შეატყობინა ეს „უბედურება“. Მოხუცებული მამა ჩამოვიდა Პარიჟში; ყველგან ეძია, პოლიციასაც კი შეატყობინა. Მაგრამ არსად არის Ქლერეტ... Თითქო ქვეშკნელში ჩაძვრა, გაჰქრა ქალიო!

×

Განვლო ორმა წელიწადმა.

Ამ ხნის განმავალობაში ბევრი უბედურება, ბევრი განსაცდელი, ბევრი მწუხარება გამოიარა მთელმა საფრანგეთმა საზოგადოთ და კერძოთ თითოეულმა იმის შვილვა. Ნემეცებმა ყველგან დაამარცხეს იმის ნაქები, თავ-მომწონე მხედრობა; იმათ გაბედეს ხელის-შეხება, შეურაცხყოფა იმათის მსოფლიო ქალაქის—Პარიჟისა.

Შემდეგ ოომუნა—უფრო სამწუხარო, უფრო შესაძრწუნებელი მოვლენა, ვინემ ეს დამარცხება! Მოთმინებიდამ გამოსულმა ხალხმა უარჰყო, არ დაზოგა არაფერი, რითაც კაცობრიობა ამაყობს, რაც საკვეხნელად მიაჩნდა ფრანცუზებს, არც ბიბლიოთეკა, არც ისტორიული შენობანი, არც წარჩინებულ პირთა მოსაგონებელათ და პატივსაცემად აგებულნი ძეგლნი, არც ეს ჩინებული „ქალაქის სასახლე“—მოწამე, ბუდე ყველა რევოლიუციისა, რომელიც კი 1791 წლიდამ ყოფილა Პარიჟში.

×

Ქლერეტ ამ დროს სულ Პარიჟში იყო. Იმან ნახა Პარიჟში Პრუსიის სალდათები, რომელნიც ბატონობდენ ამ ბატონ-ქალაქში. Იმან ნახა მშიერი, მწყურვალი ხალხი, რომელიც დამწკრიებული იდგა მეფურნეს დუქანთან და თავის რიგს უცდიდა, რომ ათ შაურად გირვანქა შავი პური ეყიდნა. Იმან ნახა, რომ Პარიჟის ხალხი ცხენის კატის, თაგვის, ვირ-თაგვის ხორცს სჭამდა.

Ყველა ეს ნახა და, თუმცა კეთილის გულით უნდოდა, რომ ვისმეს რამეში დახმარებოდა, ვერ ახერხებდა, რადგან იმავ ბედში, იმავ გაჭირებაში იყვნენ ის და იმის მოხუცებულიც.

×

Ბოლოს ომი გათავდა; ოომუნაც დაამარცხეს; იმის მომხრენი დაიჭირეს, ასობით დახვრიტეს, ათასობით დაიხოცა ბრძოლაში, ათასობით გაგზავნეს Ახალ-Ქალედონიაში და სხვები უცხო ქვეყნებში გაიქცნენ.

Საფრანგეთმა გადაუხადა Გერმანიას ხუთი მილიარდი სამხედრო კონტრიბუცია. „Უკანასკნელი Სალდათი“ Პრუსიისა გავიდა საფრანგეთიდამ.

ხალხმა თითქო თავისუფლად ამოისუნთქა, თითქო ერთი რამ მძიმე ტვირთი მოიშორა კისრიდამ.

Მაგრამ გულში კი ყველა ფრანცუზს შურის-ძიება, Გერმანიის სამაგიეროს გადახდა ღრმად ჰქონდა ჩანერგილი. „Პრუსიელი„ საგინებელ, სალანძღავ სიტყვად შეიქნა. Ყველა მამულის-მოყვარე თავის გულში და აშკარადაც იმას ამბობდა:

— Ნეტა გვეღირსება ოდესმე, რომ Პრუსიას სამაგიერო გადაუხადოთ!

×

Აი ამ დროს Ქლერეტმა აიჩემა, რომ უეჭველად Გერმანიაში უნდა წავიდეო.

Ბევრი ურჩია თავის მოხუცებულ საყვარელმა, რომელმაც ამ სიბერეში მართლა ნამდვილად შეიყვარა Ქლერეტ, ბევრი ეხვეწა—ნუ წახვალო; მაგრამ ვერც ამის თხოვნამ და ვერც რჩევამ ვერ გასჭრა.

Ერთს მშვენიერ დილას, Ქლერეტმა ჩააწყო თავის სკივრში რაც კაბები, იუბკები, შლიაპები, ლენტები და სხვა ყოველივე რაც ქალის გარდერობისა და ტუალეტის კუთვნილება გააჩნდა, ჩააწყო, გაისტუმრა ბიჭი Ბერლინში მიმავალ რკინის გზის სტანციაზე, თვითონაც მეორე ფიაკრში ჩაჯდა, გამოეთხოვა მტირალა მოხუცებულ საყვარელს და გასწია...

(Დასასრული შემდეგ №-ში)

წაიღებდა. სოფლის ხალხისათვის ეს წვიმა კარგია, რასაკვირველია, ნამუშევარს გამოადგება. მაგრამ ერთს ამ სოფლის კაცთაგანს კი ძალიან აზარალა: საწყალს ამაღლების გზაზე სოლოლაკში წყვილი ერთი ხარ-კამბეჩით შებმული ურემი მოჰყავდა; ამაღლების ეკლესიას რომ ჩამოსცილდა, მოსტაცა ურემი საშინელმა ნიაღვარმა, წააქცია ხარ-კამბეჩი, ააცურა წყალმა და ჩაიტანა სოლოლაკის ხევში, არხში, რომელიც ხიდ ქვეშ მიდის და მუხრანიანთ ხიდთან გამოდის მეურმე კი გადარჩა.

ჩვენ გვითხრეს, რომ თითო-ოროლა ამ გვარი უბედურება ნიაღვრისაგან თითქმის ყოველ წლობით ხდებაო. სხვაგან თუ არა, ამ სოლოლაკის ხიდთან მაინც შეიძლება რამე ღონის-ძიების მიღება, რომ ამ გვარი უბედურება არ მოხდეს ხოლმე: იქ, საცა ხიდ ქვეშ წყალი ვარდება, რომ ხის ანუ რკინის სვეტები დასვან ახლო-ახლოს ერთმანეთზე, წაღებულს საქონელს და ადამიანს ძალიან ადვილად შეაჩერებს, და ამის ფასი ხომ რამდენიმე მანეთია!

*** ფოთი-თფილისის რკინის გზის ერთის სტანციიდამ გვწერენ, რომ, მთავრობის განკარგულებით, ავათმყოფების გადასაყვან-გადმოსაყვანად ამ გზაზე 18 ცალკე ვაგონი გაუმართავთ; თითოეულ ვაგონში ექვს-ექვსი კრავატი დგას თურმე ასე, რომ ავათმყოფებს ძალიან მოსვენებით შეუძლიანთ წოლა. ოზურგეთიდამ წამოყვანილ დაჭრილებს სამტრედიის სტანციაზე მოიყვანებენ; აქ იმათ დაასვენებენ, აჭმევენ და შემდეგ, თუ ძალიან ავათმყოფი და დაჭრილი არ არის, პირ-და-პირ თფილისში ჩამოიყვანენ; თუ ძალიან დაჭრილია, მაშინ კი რიონის სტანციიდამ ჭუთაისს მიიყვანენ. ჭუთაისსა და თფილისს გარდა, ბორში იქნება კიდევ დაჭრილებისათვის ლაზარეთი.

*** ფოჩტის ბამგეობა აცხადებს, რომ აპრილის დამლევიდამ ახალ-სენაკსა და ზუგდიდს შუა ფოჩტა კვირაში ორჯერ დაიარებაო. ზუგდიდიდამ კვირაობით და ხუთშაბათობით მოდისო და ახალ-სენაკიდამ იქ ოთხშაბათ-შაბათობითო.

*** ბასულ დღეებში ქალაქში ჩამოიარა ჩეჩნების ცხენოსანმა პოლკმა, რომელიც ბრძოლის ველისაკენ მიემგზავრებოდნენ. მარჯვე, მხნე ბიჭები არიან, რასაკვირველია.

„დროების“ კორრესპონდენცია

მოზდოკიდგან, 19 აპრილს. სამს აპრილს, კვირაცხოვლობას, ქართული ენის მოყვარეებმა გააბედნიერეს მოზდოკის ქართველი საზოგადოება ანტონოვის სამ მოქმედიანი კომედიის—„მ ზ ი ს დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ში“ — წაკითხვით. მოზდოკელ ქართველებს, რომელთაც ასე განუდევნიათ ხმარებიდგან თავისი დედა ენა, პირველათ ესმით თავის ენაზე ლიტერატურული სიტყვა.

თუ რამოდენათ დაუვიწყნიათ თავისი დედა ენის შესწავლა აქაურ ქართველებს, სჩანს იქიდგან, რომ აქ ორ ქართველს ვერ ნახავთ იმისთანას, რომ ქართულ ენაზედ წმინდათ, რუსულის შეურეველად, ლაპარაკი შეეძლოს. უმეტესი ნაწილი აქაური სომხებისა, რომელთაც რაოდენიმე ხანი მაინც განუტარებიათ თფილისში, ბევრად უკეთ ლაპარაკობენ ქართულათ, ვინემ აქაური ძიროვანი ქართველები.

აი ეს მიზეზები საკმაოდ ხსნიან იმ გარემოებას, რომ აქაურ ქართველებთაგან არ აღმოჩნდა არც ერთი იმისთანა, რომელსაც რომ რომელიმე სულ მცირე როლის აღება ეკისრებინოს; ერთმა ქართველმა ქალმა განაცხადა, რომ მე ქართული ლაპარაკი კარგათ შემიძლიაო, მხოლოთ კითხვა არ ვიცი ო და, თუ ჩემს როლს რუსული ასოებით დამიწერთო, მაშინ მე დიდის კმაყოფილებით მივიღებ მონაწილეობას წაკითხვაშიო.

კომედიის წაკითხვის მსურველებს ბევრი ძებმა დასჭირდათ თანაშემწეებისა და ბოლოს, როგორც იყო, მონახეს ერთი სომეხი ვაჟი—მასწავლებელი და ერთიც სომხის ქალი—მასწავლებელი.

ამ ნაირად ორმა ახალგაზდა ქართველებმა, ხსენებული პირების დახმარებით, გამართეს სამს აპრილს ლიტერატურული საღამო, რომელზედაც ხსენებულ კომედიის გარდა უნდა წაკითხულიყო ორი-სამი აღმოჩრჩეული ადგილები „ქაცია ადამიანიდგან“, სამოიდე ლექსი ამოღებული „ჩონგურიდგან“, „ქალი რა თვეა?“—აკაკისა და ყველა ესენი უნდა დაბოლოვებულიყვნენ მუზიკით და ტანცაობით. რადგანაც მრავალმა პირმა განაცხადა სურვილი კითხვაზე დასწრებისა, ამიტომ საჭირო შეიქნა სრული და ფაქიზი სახლის მოძებნა; ბევრი ძებნა არ დასჭირდათ „საღამოს“ გამმართველებს: ყველამ, ვისაც უვარგოდათ სახლი, ერთბაშათ განაცხადეს სახლის დათმობის სურვილი; და ბოლოს გარდასწყვიტეს—შეკრებულიყვნენ უფ. ჯ. ბ—ს სახლში, რომელმაც აიღო თავის თავზე სახლის განათება, საყოველთ სკამების შოვნა და სხ.

წაკითხვის წინა დღეებში ზოგიერთმა ჯიშით ძლიერმა პირებმა ისურვეს, რომ „ლიტერატურულს საღამოს“ მისცემოდეს რაიმე სამადლო ხასიათი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინიც იძულებულ იქნებიან არ დაესწრონ კითხვას. მსრეთი ჰაზრი, რასაკვირველია, წმინდა და პატიოსანი არის; ამაზე წამკითხველებმა წინათაც იფიქრეს, მაგრამ, რომ არ შეეკრათ კარი ღარიბი პირებისათვის, ისევ არჩიეს სულ დასთხოვებოდენ ფულების აღებას და სრული ნება მიეცათ ყველასთვის, ვისაც ცოტაც არის მაინც ესმოდა ქართული ენა, მობრძანებულიყო და ესმინა კითხვა. მაგრამ, რადგანაც, როგორც ზევით იყო მოხსენებული, ძრიელმა პირებმა ითაკილეს ფულის გადაუხდელათ კითხვაზე დასწრება, ამიტომ „საღამოს“ გამმართველებმა გადასწყვიტეს დაედვათ ხელის მოსაწერი ფურცელი სტოლზე იმ სახლში, სადაც კითხვა იქნებოდა, რომ მსურველებს თავის შეხედვით შემოეწირათ აქაური ღარიბი მოსწავლეების სასარგებლოდ იმოდენი, რამდენიც სურდათ და ჯიბეც ნებას აძლევდათ.

საღამოს რვა საათზე პუბლიკა შეიკრიფა უფ. ჯ. ბ—ს სახლში და ცხრის ნახევარზე დაიწყო კითხვა. კითხვის წინეთ, მოკლეთ პუბლიკას გარდაეცა შინაარსი კომედიისა და მომქმედი პირების ვინაობა. პუბლიკა ძრიელ გულ-მოდგინეთ სმენულობდა კითხვას და ყველაფრიდგან სჩანდა, რომ უმეტესს იმაგანს პირველად ესმოდათ ქართული ლიტერატურული ენა და ჰკვიროობდნენ, რომ ქართულ ენაზეც ყოფილა წიგნებიო. ზოგიერთმა კომიკურმა ადგილებმა ბევრი ახითხითა პუბლიკა. ერთის სიტყვით კომედიის წაკითხვამ ჩაიარა მშვენიერად და სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონია პუბლიკაზე. თვითეულ მოქმედების შემდეგ იყო ხოლმე ანტრაქტი, რომლის დროსაც პუბლიკის ყურებს ატკბობდა სკრიპკის, ფლეიტის და ფისგარმონიის ხმა. ბოლოს მუზიკანტებმა დაუკრეს სკრიპკაზე ლეკური და ახალგაზდებმა წყვილ-წყვილად ჩამოუარეს. შემდეგ კიდევ ერთმა მკითხავთაგანმა წაიკითხა „ქაცია ადამიანიდგან“ ლუარსაბის და დარეჯანის გართობა, მაგრამ არ ვიცი რის მიზეზიდგან—იმიტომ რომ მუზიკის და ლეკურის შემდეგ მეტად მლაშე გამოვიდა ჩვენი ნიჭიერი მწერალის მშვენიერი ქმნილება, თუ იმიტომ რომ მოზდოკელმა ქართველებმა ვერ გაიგეს წმინდა, რუსულ შეურეველი და დაუმახინჯებელი ქართული ენა—პუბლიკა მეტად ცივად მიეგება ამ ნაწყვეტის კითხვას, რომლის მიზეზისა გამო მკითხველმა ჩქარა შესწყვიტა თავისი კითხვა და აღარც სხვა მკითხველებს წაუკითხავთ ლექსები და „ქალი რა თვეა“. პუბლიკის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ აქაური სომხები, რომლებმაც კარგად იცოდნენ ქართული ენა; იყვნენ იმისთანაებიც, რომელთაც ერთი სიტყვაც არ იციან ქართულად, მაგრამ არ ვიცი რით ისიამოვნეს და მადლობა კი დიდი გარდაუხადეს მკითხველებს.

კითხვის სულ გათავების შემდეგ პუბლიკამ სთხოვა მკითხველებს, რომ იმათ კიდევ გამართონ ამისთანა კითხვა.

ამ ნაირი თხოვნის მიზეზი ძრიელ ადვილი გასაგები არის იმისთვის, ვინც ცოტათი მაინც იცის მოზდოკის შინაგანი ცხოვრება. ასე ყუჩე და უსულო ქალაქი მე არა მგონია მეორე კიდევ მოიძეოდეს სადმე. აქ არ მოიძევება არც ერთი იმისთანა ადგილი, არც კლუბი, არ ბაღი და არც სხვა, სადაც რომ მოქალაქეებს შეეძლოს შეიკრიფონ და ერთი ერთმანეთს გაუზიაროონ თავისი ჰაზრები, შეხედულობა, რწმუნება და სხვ., სადაც რომ ერთს მეორესაგან—სმენის და გონების საშუალებით — შეეძლოს რისიმე შეძენა, სადაც რომ ყველას შეეძლოს ერთიერთმანეთის დაკვირვებით ერთი-ერთმანეთის შესწავლა და ამ შესწავლიდგან სხვა და სხვა გვარი დასკვნის გამოყვანა და სხვ. ამბობენ, აქამომდე აქაური დრაღუნის პოლკი აცოცხლებდაო აქაურ ღრმა ძილ მიცემულ ხალხს და ახლა, როდესაც დროთა ვითარებისა გამო მოზდოკელებმა დაჰკარგეს ეს უკანასკნელი „კრი-კრიც“, ესენი მიეცენ ისეთ ლეტარგიულ ძილს, რომელსაც ჩქარა ვერ წამოუდგებოდნენ, თუ რომ არ გამოსჩენოდათ სხვა „კრი-კრი“, რომელსაც მოზდოკელები დაესხენ თავზე მოზდოკელი საზოგადოების საზოგადო ჩირქების და ნაკლულევანების გამოაშკარებისათვის. ამ „კრი-კრიმ“ გამოაფხიზლა აქაური „დუმა“ და „ქალაქის“ უპრავა, იმან აქ აღძრა ბევრი პედაგოგიური კითხვები შესახებ დედა-ენის მნიშვნელობისა პირველ-დაწყებით სწავლაში, სამოქალაქო სახწავლებლების, სომხების სასწავლებლების მნიშვნელობაზე, რომელიც არა სწამთ აქაურ სომხებს, და უჩვენა მოზდოკელებს მათი დაბრმავება და წინ დაუხედველად უგზო-უკელოდ სიარული; მათი უკიდურესი ეგოიზმობა და ეკსპლუატატური მიდრეკილება. მე ვამბობ იმ კორრესპონდენციაზე, რომელიც ოქტენი „დროების“ ერთს წინანდელ №-ში იყო დაბეჭდილი. ამ სტატიის დამწერისათვის აქაურებს ერთი ლექსი უძღვნიათ, რომლის უკანასკნელი სტრიქონი მომყავს:

„თუნდ ასეც იყოს, შენ რას დაგვეძებ?
უმზგავსო ჯლაბნით რატომ გვახელებ?
ჩვენი მოზდოკი შენ თუ გძულს ეგრე,
სიდგანც მობრძანდი, იქ წეიხრე!“

თელავი, აპრილის 25-ს. უკხოკაცმა რომ ერთი შეხედოს ჩვენს ქალაქს, უეჭველათ წარმოიდგენს ადგილობრივ მცხოვრებლების დაუდევნებლობას. თითქმის მეხუთე წელიწადი იქნება. რომ აქ დაიწყეს ერთი საჭირო გზის გაკეთება, რომლითაც უნდა შეერთებულიყო ორი საჭირო გზები; მხოლოთ უშლიდა აღმართი; ამისა გამო ჯერ იმ აღმართს შაუდგნენ. ახლა ნახეთ ის აღმართი რა ლაზათშია. შუა ადგილს დაანებეს თავი და მიანდეს ბუნებას, რომ ეგება ოდესმე წარღვნა მოვიდეს და იმან გაასწოროსო. როგორც იყო, კიდევ ისე სჯობდა, კაცი მაინც გაივლიდა.

ბარდა რამდენიმე შკოლებისა და სასამართლოებისა, თელავში ვერასფერს ნახავთ; მაგალითად: ტელეგრამმა, საზოგადო ბიბლიოთეკა, კლუბი და სხვ. ქიდენ მადლობა უფალს რომ ამ ორიოდე დღეში აფთექა გასხნეს, რომლის უქონლობითაც ილუპებოდა საწყალი ხალხი.

აქაური ხალხი ჯერ მამაპაპურ ცხოვრებაშია, ამათში არა რაიმე ნაპერწკალი არა სჩას განათლებისა და ანუ ზრუნვისა მომავლებისთვის. ბალები უფრო განათლებაში არიან, ვიდრე კაცები, იმიტომ რომ იმათზედ ნახავთ ევროპიულ სამოსელს!

თელავის ვაჭრობა თუმცა ზარმაცის ნაბიჯით მიდის, მაგრამ დღედღეზე ახალ-ახალი დუქნებიემატება; მაგრამ ეს გამრავლება უფრო აყენებს ვაჭრობას!

აქაურები იმითაც კმაყოფილნი არიან, რომ იმათ შვილებმა იცოდნენ ან ერთი ფული, ბან ორი ბისტი; ეგეც საკმაოა ამათთვის.

თელავის სომხის შკოლა 1860 წ. გაუღიათ, მაგრამ დღევანდლამდინ ჩვენ არ გვესმის მაგ შკოლის მნიშვნელობა. როგორც ვხედავთ, შკოლის ზედამხედველები იმას საკუთრებად აგდებენ, ვინც იქ მზრუნველათ შევა, ველარ გამოვა, რადგანაც მემკვიდრეები არიან, თუმცა კანონით ყოველ სამ წლის შემდეგ უნდა იყოს ახალი მზრუნველების (პაპეჩიტლების) აღმოჩრჩევა. ამის გამო საკვირველი არ არის, რომ იმაში იყვნენ უხვირო პედაგოგები. მასწავლებლის მიღება და გამოგდება დღევანდლამდინ მაგათ ხელშია. ყველას შეუძლიან იქ ადგილი იშოვოს, ოღონდ ქვეშ გაუგორდი, თუმცა არ ეკუთნოდე მაგ წოდების. მაგალითად, მაგ შკოლაში არის ახლა ერთი მილიციის პრაპორჩიკი, რომელსაც თავისი მთელი სიცოცხლე ომში გაუტარებია და რომელიც ნიჭიერი არის მხოლოთ ბატონურის მოწევისა თავისი ორმოც-და-ათის წლის კოლოფიდგან. შემდეგისთვის, უეჭველია, ჩაფრებს აღმოჩრჩევენ. მეორე, რუსული ენის მასწავლებელი იმავე შკოლისა უფ. ს., რომელიც კლასებში აბზების წერის მეტს, არაფერს აკეთებს, დღევანდლამდინ პედაგოგობს! აი, როგორი ხალხი ეზიდება გვარის ოფლით შეძენებულ ფულებს, და აი როგორი მასწავლე-

ბლების ხელში არიან ჩვენი უბედური შვილები.

ამ მოკლე ხანში, ამბობენ, თელავში ყოფილა თფილისის გუბერნიის სომხის შკოლების ინსპექტორი, რომელსაც ნასწავლ ყმაწვილ კაცს ამბობენ. ისიც გვესმის, რომ ეგზამენიების უკან დიდ ცვლილებას უპირებს მაგ შკოლას. ღმერთმახელი მთუმართოს. ჩვენი სურვილიც ეგ არის.

ახლა გადმოვიდეთ ქართველის სასულიერო სასწავლებელზედ. ბარსულ წელიწადს მოსამზადებელ კლასის მასწავლებლისათვის მიუნდვიათ ყველა კლასებში ქართულის ენის სწავლება და თურმე ორი თვე მოსამზადებელ კლასში ქართული ენის სწავლა არ არის. მართალია, თუ არა, მე ეგ არ ვიცი, მხოლოთ მშობლებისგან მესმის. ამობენ, რომ მთელი მაგ შკოლის შტატი შედგება უ. ზედმხედველის ნათესავებით; ჩლენი, პედაგოგები, მზარეული და მოსამსახურე თურმე სულ იმის ნათესავები არიან. მართალია თუ არა, ეგეც არ ვიცი, მხოლოდ სხვები ამბობენ.

ზავედენიისა, რუსის შკოლისა და სომხის ქალების შკოლისა არა ვიცით-რა. ის კი ვიცი, რომ თურმე სომხის ქალების შკოლიდგან ერთი ქვრივი მუქთათ ფულებს ეზიდება. მუქთათ ამიტომ ვამობ, რომ არც რუსული იცის, არც სომხური, არც ქართული და „უჩიტელს“ კი ეძახიან და შაგირდებიც „მამაშას“ ეძახიან.

ერთ-ორ სიტყვასაც მოგახსენებთ აქაურ ღვდლებზედ. ჩვენი მიკიტნები ასე ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ ვაჭრობას, რომ ღვდლები ბედავენ რიყეში ურმის დაყენებას, ანაფორის მაჯების გადაწევას და ღვინის გაყიდვას. შარშან რიყეში ტერ-ია—ი ქონდოლის ღვინოსა ჰყიდდა! ნუ თუ, მიკიტნებო, ეს თქვენი ზარალი არ არის? რატომ არ ეუბნებით თუ: „ტერ-ტერ, ეგ თქვენი ხელობა არ არის; რათა ჰკადრულობთ თქვენს დამცირებას; თქვენ რომ ღვინით ვაჭრობა დაიწყოთ, ჩვენ რით ვიცხოვროთ, ანუ ხაშლამა ვის დარჩეს?“

ამ ტერ-ტერაზედ ნაკლები არ არიან სხვა ქართველის და სომხის ღვდლებიც. ერთს გამოჩენილ აქაურ ქართველ ღვდელს, წირვის დროს ერთ საწყალ გლეხი-კაცისთვის პრისტავს სილა გაუდვია! ამ დიდ მარხვაში ერთ სომხის ტერ-ტერას უქადგნია ახალგაზდა ღვდლებზედ და უთქვამს: „მხლანდელი ჩვენი ახალგაზდა ღვდლები კვიცებივით თმასა და წვერს იკრეჭენო!“, როდესაც ვიცით, რომ, როცა თმის შემოკლების მოდა შემოვიდა, თვითონ მაგ მოქადაგემ მაიპარსა თმა და ანთება მოიგონა; ამას ამბობს ის ტერ-ტერა, რომელიც რუისპირის არეულობის მიზეზი იყო, რომელიც ნახევარზედ ბადე ხელში ალაზანში მეთევზეთა დგას, რომელიც ჩვენს ბულვარზედ ზურნაზედ ლეკური ითამაშა და სხვ. და სხვ. ახალგაზდა ტერ-ტერებს საჩივარი მიუციათ ბლაღოჩინისთვის და ამისა გამო სწორეთ იმ დღეს, რა დღესაც ომი გამოცხადდა, ერთი კურს-დასრულებული ახალგაზდა ტერ-ტერა ბლაღოჩინის საჩივრით გადიყვანეს სოფელში, ვითომც ცუდი ყოფაქცევისთვის, და სოფლის ღვდელი, რომელსაც ვიცნობთ ჯამის ტრიალის დროს, გადმაიყვანეს აქ, თუმც ეგ დასჯული ახალგაზდა ღვდელი სჯობია ზოგიერთს თელავის ღვდლებს თავის ყოფაქცევით. სოფლელებს რაღა დანაშაული აქვსთ, რომ მთავრობამ უღირსი ღვდელი იმათ დაუნიშნოს? ღვდლები ჩხუბობენ და მრევლს კი შუაში სჭყლეტენ. ამ ღვდლის გადაყვანა გამოცხადდა ამ თვის ოც-და-სამში, როდესაც თელავში იყო ბორის-ჯვროობა, სწორედ იმ ეკკლესიის დღეობა, რომელშიაც ეგ გადაყვანილი ღვდელი ღვდლობდა. ბამოცხადების შემდეგ მრევლი მისცვივდა ბლაღოჩინს და დიდი დავი-დარაბა იყო. რაც იმათ ილაპარაკეს ბლაღოჩინთან, ის რომ სულ ავსწერო, შეუძლებელია, მხოლოთ მრევლის სურვილი ის იყო, რომ გამოუცხადეს შეუძლელობა იმ ღვდლის ადგილიდგან დათხოვნისა.

რათ უნდა მიახწიონ იქამდინ ღვდლებმა რომ საზოგადოებაში ამისთანა არეულობა მოხდეს? მრევლი იმასაც იძახიან, რომ „ეკკლესიაც ჩვენიაო და ღვდლებიც ჩვენი ჯიბიდგან ცხოვროზენო; ამის გამო, თუ ეგ ღვდელი გადაიყვანეს, ჩვენ ეკკლესიას დავკეტავთო!“

ჩახრიელი

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ქალაქს თფილისში მაწანწალა ძაღლების დასახოცად, ის შეეკრა კანტრაქტით საფრანგეთის მოქალაქეს ლუი ალლომს. ამ კანტრაქტის ძალით, ლუი ალლომმა, სხვათა შორის, იკისრა:

1) რომ ის ზამთარში და შემოდგომაზე ყოველ დღე დილის რვა საათამდინ და გაზაფხულზე და ზაფხულში დილის შვიდ საათამდინ დაიჭერს თფილისის ქუჩებში უპატრონო და მაწანწალა ძაღლებს ბადითა ანუ საგდებელიდ, მაგრამ ისე რომ ძაღლები წვალებულნი არ იქნებიან და არც ქუჩებში ხმაურობას გააჩენს.

2) ქუჩებში და მაედნებზე მაწანწალა უპრალო ძაღლებს, რომელთაც პატრონი არ ამოუჩნდებათ, ლუი ალლომი დაიჭერს, წაიყვანს ცალკე სადგომში და იქ დახოცს.

3) ქარგი მოდგმის ძაღლებს, როგორც მაგალითად: მონადირე ძაღლებს, მწევრებს, მეძებრებს, ნიუფაუნდლენდს, პუდელს, ბოლონკებს, ლიერეტკებს, ბულდოგებს, სან-ბერნარს და სხვ., რომელთაც საბელი არ ექნებათ და რომელნიც უპატრონოდ ირბენენ ქუჩებში, მეიჯარადრე დაიჭერს და სამის დღის განმავლობაში თავის ხარჯით შეინახავს; თუ ამ სამს დღეში გამოუჩნდა პატრონი, დაუბრუნებს ძაღლს და შენახვის ფასს ერთს მანეთს გადაახდევინებს პატრონსა; განსაკუთრებით ქარგის მოდგმის ძაღლები შეუძლია სამის დღის შემდეგაც შეინახოს, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ პატრონი ამოუჩნდა, დღეში ძაღლის შესანახავად, ორ აბაზზე მეტი არ გადაახდევინოს.

4) ცოფიანი ძაღლები, რაც უნდა ქარგის მოდგმის იყოს, იმ წამსვე უნდა დახოცოს. და დაჭრილის ტყავით უნდა ჩაგდოს მიწაში.

5) თუ ქარგის მოდგმის ძაღლი, რომელიც ცოფიანი არ არის, სამ დღეზე ადრე მოკლა, მაშინ მეიჯარადრე პასუხს აგებს პატრონსა და ვალდებულია იმდენი გადაუხადოს, რამდენათაც ეს ძაღლი დაფასდება.

6) ლუი ალლომსი ვალდებულია ადგილობრივ გაზეთებში გამოაცხადოს, თუ სად მოაგროებს ის ქუჩებში დაჭერილ უპატრონო ძაღლებსა; ეს იმისთვის, რომ პატრონებს შეეძლოსთ ადვილად პოვნა თავის ძაღლებისა, და

7) მეიჯარადრე ვალდებულია ძაღლის პატრონს, რომელიც თავის საქონლის წასაყვანად მისულა, ჩამოართვას ხელწერილი, რომელშიაც მოხსენებული იქნება ამ პირის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ალაგი და აგრეთვე ნიშნები თვითონ ძაღლისა. (3—1)

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ოთხშაბათის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11 მდინ—დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობსთ და შაბათობით 11-ღამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის.

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალბო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში —50 კაპ. ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მანეთი.

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ქანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ეიაც ამ პომადას ხმაროობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—128

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, პარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს —ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 25 აპრილს		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	84
პარიჟში 271 სანტიმი.	—	89
მსკონტი (სარგებლისფასი)	$7^1/_2$	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი (პირველისესხი)	188	25
მოგებიანი (მეორე ესესხი)	184	25
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	79	—
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	--	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	497	—
ქავკაზის და მერკურის. .	185	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	712	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	265	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 30 აპრილს		
პური შორაგალის ფთ.	1	80
ქერი ფუთი. . . .	—	95
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	60
—ამერიკისა, ფუთი. .	6	20
ბაპენტილი ბამბა ფთ.	7	—
მატყლი თუშური ფთ .	6	70
—თარაქამისა ფთ. .	4	--
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	—
სტეარინის სანთელი, ფ.	11	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	90
სპირტი, ვედრო. . .	8	—
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	50
—ფხვნილი ფუთი . .	5	40
ყავა გრგვალი, ფუთი .	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	30
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	7	47

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Мая 1877 г. Типографія Меликова

გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.